ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2659516

ნომერი: AR1407431

თარიღი : 24.05.2016

გაცემის თარიღი : 20.06.2016

გაცნობის თარიღი : 20.06.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ევდოშვილი , N 20 / ქალაქი თბილისი , ევდოშვილისა და სოხუმის ქუჩებს შორის (ნაკვეთი 10/021)/ ქალაქი თბილისი , სოხუმის ქ. N7-ის მიმდ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზ კაპანაძე პ/ნ 01024001843
- თბილისი ად.მიცკევიჩის ქ. N 24 ბ. 6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 30 სექტემბრის #2215987 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 24 მაისს #AR1407431 განცხადებით მომართა მალხაზ კაპანაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2015 წლის 30 სექტემბრის #2215987 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 30 სექტემბრის #2215987 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, ქუჩა ევდოშვილი, #20 / ევდოშვილისა და სოხუმის ქუჩებს შორის (ნაკვეთი 10/021) / სოხუმის ქ. #7-ის მიმდებარედ, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: #01.13.06.010.061) მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, კომერციული, საზოგადოებრივი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 30 სექტემბრიდან 2017 წლის 01 მარტის ჩათვლით. სამსახურის 2016 წლის 19 მაისის #2590108 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2015 წლის 30 სექტემბრის #2215987 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 30 სექტემბრის #2215987 ბრძანებაში დამკვეთად მითითებულია ი.ბ.ა. „დიდუბე-777“. საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაცია: #882016228019, მომზადების თარიღი: 15/04/2016 წ., ს/კ: #01.13.06.010.061) შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს ი.ბ.ა. „დიდუბე-777“. საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის (გარდა მეწარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრული სუბიექტებისა) შესაბამისად, (რეგისტრაციის ნომერი: #202467687, რეესტრში ჩართვის ცვლილების თარიღი: 30/08/2013) ი.ბ.ა. „დიდუბე-777“-ს (ს/კ: #202467687) ხელმძღვანელობაზე / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია მალხაზ კაპანაძე.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 30 სექტემბრის #2215987 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ, საცხოვრებელ ფართობად 10144.2 კვ.მ–ის ნაცვლად 10139.2 კვ.მ–ის, კომერციულ ფართობად 824.4 კვ.მ–ის ნაცვლად 824.0 კვ.მ–ის, საზაფხულო ფართობად 1545.0 კვ.მ–ის ნაცვლად 1731.5 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 502.1 კვ.მ-ის ნაცვლად 560.7 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 1185.1 კვ.მ–ის ნაცვლად 1393.8 კვ.მ–ის, ხოლო საერთო ფართობად 16248.0 კვ.მ–ის ნაცვლად 16696.4 კვ.მ–ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 30 სექტემბრის #2215987 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 30 სექტემბრის #2215987 ბრძანებაში, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 10139.2 კვ.მ., კომერციულ ფართობად - 824.0 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 1731.5 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 560.7 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 1393.8 კვ.მ., საერთო ფართობად – 16696.4 კვ.მ.;
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 30 სექტემბრის #2215987 ბრძანებით შეთანხმებული პირველი, მეორე, მესამე და მეშვიდე სართულის გეგმები ჩანაცვლდეს 2016 წლის 24 მაისის #AR1407431 განცხადებით წარმოდგენილი პირველი, მეორე, მესამე და მეშვიდე სართულის გეგმებით;
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 30 სექტემბრის #2215987 ბრძანების სხვა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 30 სექტემბრის #2215987 ბრძანებასთან ერთად;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.